

(19) საქართველოს  
ინტელექტუალური  
საკუთრების  
ეროვნული ცენტრი  
საქართველო



(11) GE P 2013 5931 B

(10) AP 2013 12280 A  
(51) Int. Cl. (2006)  
**C 07 K 16/00**  
**C 07 K 16/28**  
**C 07 K 16/46**  
**A 61 K 39/395**  
**A 61 P 35/00**

(12) გამოგონებაზე პატენტის აღმოჩენისას

(21) AP 2009 12280  
(31) IB2008/055664; 61/184,406  
(44) 2013 06 25 №12  
(85) 2011 07 01

(22) 2009 12 02  
(32) 2008 12 02; 2009 06 05  
(45) 2013 10 10 №19  
(86) PCT/EP 2009/066205, 2009 12 02

(24) 2009 12 02  
(33) IB; US

(73) პიერ ფაბრ მედიკამენტ (FR)  
45, პლას აბელ განს, 92100 ბულონ-  
ბილანჯური (FR)  
(72) ლილიან გოეთშ (FR);  
ტიერი ვურშ (FR)  
(74) გიორგი მეიფარიანი

(56) 1. DALL'ACQUA W.F., et al.,  
"Modulation of the effector  
functions of a human IgG1 through  
engineering of its hinge region",  
JOURNAL OF IMMUNOLOGY,  
AMERICAN ASSOCIATION OF  
IMMUNOLOGISTS, US, 2006,  
vol. 177, no. 2, pages 1129-1138;  
2. WO 2006/116260 (MEDIMMUNE  
INC (US)), 02.11.2006.

(54) მონოკლონური ანტისხეულის ანტაბონისტური აძლიერების

(57) მოცემულია IgG1 მონოკლონური ანტისხეულის ანტაბონისტური აქტივ-  
ობის გაუმჯობესების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ანტისხეულის სახს-  
რული უბნის რეკონფიგურაციის ეტაპს, რომელიც ხორციელდება სახსრული  
უბნის ამინომჟავური თანამიმდევრობის მოდიფიკაციის გზით.

მუხლები: 3 დამოუკიდებელი  
6 დამოკიდებული

ფიგურა: 17

GE P 2013 5931 B

## gamogonebaze patentis aRweril oba

წინამდებარე გამოგონება ეხება ანტისეულების ინჟინერიის სფეროს და უფრო ზუსტად, ანტისეულების სკრინინგის და/ან ანტისეულების აგონისტური/ანტაგონისტური აქტივობის მოდულაციის ხერხს. უფრო ზუსტად, გამოგონება ეხება მონოკლონური ანტისეულის, ან მისი ორგალენტიანი ფუნქციური ფრაგმენტის ან მისი წარმოებულის ანტაგონისტური აქტივობის მოდულაციის ხერხს გენეტიკური ინჟინერიის მეშვეობით. გამოგონება ასევე ეხება პოლიპეპტიდებს, რომლებიც გამოსადეგია მოდულაციის ასეთი ხერხისათვის და მიღებული ანტისეულებისათვის.

ტერმინები “ანტისეული”, “ანტისეულები” ან “იმუნოგლობულინი” გამოყენებულია ურთიერთშენაცვლებადად ფართო გაგებით და შეიცავს მონოკლონურ ანტისეულებს (მაგ., სრული სიგრძის ან ინტაქტურ მონოკლონურ ანტისეულებს), პოლიკლონურ ანტისეულებს, მრავალგალენტიან ანტისეულებს ან მრავალსპეციფიკურ ანტისეულებს (მაგ., ბისპეციფიკურ ანტისეულებს, რამდენადაც ისინი ამჟღავნებენ საჭირო ბიოლოგიურ აქტივობას).

უფრო ზუსტად, ასეთ მოლეკულას შეესაბამება გლიკოპროტეინი, რომელშიც შედის, სულ მცირე, ორი მძიმე (H) ჯაჭვი და ორი მსუბუქი (L) ჯაჭვი, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია დისულფიდური ბმებით. თითოეული მძიმე ჯაჭვი შეიცავს მძიმე ჯაჭვის ვარიაბელურ უბანს (ან დომენს) (აქ აღინიშნება აბრევიატურით HCVR ან VH) და მძიმე ჯაჭვის მუდმივ უბანს. მძიმე ჯაჭვის მუდმივ უბანში შედის სამი დომენი: CH1, CH2 და CH3. თითოეული მსუბუქი ჯაჭვი შეიცავს მსუბუქი ჯაჭვის ვარიაბელურ უბანს (აქ აღინიშნება აბრევიატურით LCVR ან VL) და მსუბუქი ჯაჭვის მუდმივ უბანს. მსუბუქი ჯაჭვის მუდმივ უბანში შედის ერთი დომენი CL. შესაძლებელია VH და VL უბნების დამატებით დაყოფა პიპერვარიაბელურ ქვეუბნებად, ე.წ. კომპლექნტარულობის განმსაზღვრელ უბნებად (CDR), რომელთა შორის ჩართულია უფრო დაცული, ე.წ. კარკასული უბნები (FR). თითოეული VH და VL შედგება სამი CDR და ოთხი FR უბნისგან, რომლებიც განლაგებულია ამინოჯგუფიანი ბოლოდან კარბოქსილჯგუფიან ბოლომდე შემდეგი რიგით: FR1, CDR1, FR2, CDR2, FR3, CDR3, FR4. მძიმე და მსუბუქი

ჯაჭვების ვარიაბელური უბნები შეიცავს ბმის (მაკავშირებელ) დომენს, რომელიც ანტიგენთან ურთიერთმოქმედებს. ანტისეულების მუდმივ უბნებს შეუძლია მედიატორობა გაუწიოს იმუნოგლობულინის ბმას მასპინძელ ქსოვილებთან ან ფაქტორებთან, რომლებშიც იმუნური სისტემის სხვადასხვა უჯრედები (მაგ., ეფექტორული უჯრედები) და კლასიკური კომპლემენტი სისტემის პირველი კომპონენტი (Clq) შედის.

იმუნოგლობულინების მძიმე ჯაჭვები შეიძლება დაიყოს სამ ფუნქციურ უბნად: Fd უბნად, სახსრულ უბნად, Fc უბნად (კრისტალიზებადი ფრაგმენტი). Fd და Fc უბნების მაკავშირებელია დრეკადი სახსრული უბანი. Fd უბანი შედგება VH და CH1 დომენებისაგან და მსუბუქ ჯაჭვთან ერთად ქმნის Fab – ანტიგენ-მბმელ ფრაგმენტს. Fc ფრაგმენტი პასუხისმგებელი არის იმუნოგლობულინის ეფექტორულ ფუნქციებზე, რომლებშიც შედის, მაგალითად, კომპლემენტის ფიქსაცია და ბმა მონათესავე Fc რეცეპტორებთან ეფექტორული უჯრედებისა. იმუნოგლობულინის IgG, IgA და IgD კლასებში აღმოჩენილი სახსრული უბანი მოქმედებს დრეკადი შუასადების მაგვარად, რაც საშუალებას აძლევს Fab ნაწილს თავისუფლად გადაადგილდეს სივრცეში Fc უბნის მიმართ. მუდმივი უბნების საპირისპიროდ, სახსრული დომენი სტრუქტურულად განსხვავებულია და იცვლება როგორც თანამიმდევრობის, ისე სიგრძის მიხედვით იმუნოგლობულინების კლასებსა და ქვეკლასებს შორის.

კრისტალოგრაფიური გამოკვლევების თანახმად, იმუნოგლობულინის სახსრული უბანი შეიძლება სტრუქტურულად და ფუნქციურად დამატებით დაყოფილ იქნეს სამ ქვეუბნად: ზედა სახსრად, ცენტრალური და ქვედა სახსრად (Shin et al., Immunological Reviews 130:87, 1992). ზედა სახსარში შედის ამინომჟავები CH1-ის კარბოქსილბოლოდან, სახსარში მოძრაობის შემზღვეველ პირველ ნაშთამდე, მირითადად პირველ ცისტეინის ნაშთამდე, რომელიც ქმნის ორ მძიმე ჯაჭვს შორის ჯაჭვთაშორის დისულფიდურ ბმას. ზედა სახსარის სიგრძეზე არის დამოკიდებული ანტისეულის სეგმენტური დრეკადობა. ცენტრალური სახსარის უბანი შეიცავს მძიმე ჯაჭვთაშორის დისულფიდურ ხიდებს. ქვედა სახსარის უბანი ესაზღვრება CH2 დომენის ამინო ტერმინალურ ბოლოს და შეიცავს მის ნაშთებს. ადამიანის IgG1-ის ცენტრალური სახსრული უბანი შეიცავს Cys-Pro-Pro-Cys (ცისტეინი-პროლინი-

პროლინი-ცისტეინი) თანამიმდევრობას, რომლის დისულფიდური ბმების ფორმირების საშუალებით დიმერიზაციის შედეგად მიიღება ციკლური ოქტაპეპტიდი, რომელიც მიაჩნიათ, რომ მოქმედებს როგორც ბრუნვის დერმი და ამრიგად უზრუნველყოფს იმუნოგლობულინის დრეკადობას. კონფორმაციულმა ცვლილებებმა, რომლებიც დაშვებულია იმუნიგლობულინის სახსრული უბნის პოლიპეპტიდური თანამიმდევრობის სტრუქტურისა და დრეკადობის გამო, შეიძლება რომ გავლენა მოახდინონ ანტისხეულის Fe ნაწილის ეფექტორულ ფუნქციებზე.

ზოგადად, თაგვის წარმომავლობის მონოკლონური ანტისხეულების ან მათი ფუნქციური ფრაგმენტების დასამზადებლად შეიძლება მივმართოთ ტექნიკას, კერძოდ, რომელიც აღწერილია სახელმძღვანელოში “ანტისხეულები” (Harlow and Lane, Antibodies: A Laboratory Manual, Cold Spring Harbor Laboratory, Cold Spring Harbor NY, pp. 726, 1988) ან ჰიბრიდომებიდან დამზადების ტექნიკას, რომელიც აღწერილია Kohler-ის და Milstein-ის მიერ (Nature, 256:495-497, 1975). ამის შემდეგ, შესაძლებელია, მაგალითად, მონოკლონური ანტისხეულების გასუფთავება აფინური ქრომატოგრაფის სვეტში, რომელშიც წინასწარ არის იმობილიზებული აღნიშნული მონოკლონური ანტისხეულების მიერ სპეციფიკურად ამოცნობილი ეპიტოპის შემცველი საინტერესო რეცეპტორი ან მისი ერთ-ერთი ფრაგმენტი. უფრო ზუსტად, მონოკლონური ანტისხეულები შეიძლება გასუფთავებულ იქნეს ქრომატოგრაფიით პროტეინ A-ზე და/ან G-ზე, რასაც შეიძლება მოხდევდეს ან არ მოხდევდეს იონური-მიმოცვლის ქრომატოგრაფია, რომლის მიზანია ნარჩენი პროტეინებით, ასევე *ان�* და LPS-ით დაბინძურების გამორიცხვა. ამას თავისთავად მოჰყვება ან არ მოჰყვება ელიმინაციური ქრომატოგრაფია Sepharose გელზე, რათა გამორიცხულ იქნეს დიმერების ან სხვა მულტიმერების თანამყოფობით განპირობებული პოტენციალური აგრეგატები. უფრო უპირატესად, მთელი ეს ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთდროულად ან თანამიმდევრობით.

მოცემული გამოგონების მიხედვით, ანტისხეულის ფუნქციური ფრაგმენტი, არის ანტისხეულის ფრაგმენტები, როგორიცაა Fv, scFv (sc აღნიშნავს ერთ ჯაჭვიანს), Fab, F(ab')<sub>2</sub>, Fab', scFv-Fc ფრაგმენტები ანუ დიმერები, ან ნებისმიერი ფრაგმენტი, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობის ნახევარპერიოდი გაზრდილ იქნა ქიმიური მოდიფიკაციის შედეგად,

როგორიცაა პოლი(ალკილენ)გლიკოლის, მაგალითად, პოლი(ეთილენ)გლიკოლის დამატება (“PEGილირება”) (პეგილირებულ ფრაგმენტებს აღნიშნავენ Fv-PEG, scFv-PEG, Fab-PEG, F(ab')<sub>2</sub>-PEG ან Fab'-PEG) (“PEG” პოლი(ეთილენ)გლიკოლის აღსანიშნავად), ან აღნიშნული ფრაგმენტების, რომლებსაც გააჩნია, საწყისი ანტისხეულის მახასიათებელი CDR-ებიდან, სულ მცირე, ერთი მაინც, ლიპოსომში ჩადგმის შედეგად.

უპირატესად, ეს ფუნქციური ფრაგმენტები არის Fv, scFv, Fab, F(ab')<sub>2</sub>, Fab', scFv-Fc ტიპის ანუ დიმერები, რომლებსაც ძირითადად ბმის იგივე სპეციფიკურობა გააჩნია, რაც იმ ანტისხეულს, რომლისგანაც ისინი წარმოიშვა. მოცემული გამოგონების მიხედვით, გამოგონებით მოცემული ფრაგმენტების მიღება შესაძლებელია ზემოაღწერილი ანტისხეულების ენზიმებით, როგორიცაა პეპსინი ან პაპაინი, დამუშავების მეთოდით და/ან დისულფიდური ხიდების გახლებით ქიმიური ალდგენის საშუალებით. გამოგონებაში შემავალი ანტისხეულის ფრაგმენტების სხვაგვარად მიღება შესაძლებელია გენეტიკური რეკომბინაციის მსგავსი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც კარგად არის ცნობილი დარგის სპეციალისტებისათვის, ან პეპტიდების სინთეზის საშუალებით, მაგალითად, პეპტიდის ავტომატური სინთეზატორების საშუალებით, რომლების მოწოდება ხდება კომპანიის Applera-ს მიერ.

ტერმინი “ანტაგონისტი” აქ აღნიშნავს მოლეკულას, რომელსაც გააჩნია სამიზნე მოლეკულის ერთი ან მეტი ბიოლოგიური აქტივობის ინპიბირების უნარი, როგორიცაა უჯრედგარე ან ტრანსმემბრანული რეცეპტორი. ანტაგონისტებს შეუძლიათ იმოქმედონ ლიგანდოან რეცეპტორის ბმის ხელისშემლის საშუალებით და პირიქით, რეცეპტორის ფოსფორილების დაქვეითების საშუალებით და/ან ლიგანდით აქტივირებული მკვლელი უჯრედების გაუვნებელყოფით. ანტაგონისტს შეუძლია მთლიანად დაბლოკოს რეცეპტორ-ლიგანდის ურთიერთქმედებები ან არსებითად შეასუსტოს ასეთი ურთიერთქმედებები კონკურენციის, კონფორმაციის ცვლილების ან ქვემოთკენ რეგულირების საშუალებით. ანტაგონისტის ინტერვენციის ყველა ეს სახეობა მოცემული გამოგონების მიზნებისათვის ეპივალენტურებად უნდა იქნეს განხილული.

ტერმინი “აგონისტი” აქ გამოყენებულია აღსანიშნავად ნებისმიერი ნაერთის, პროტეინის, პოლიპეპტიდის, პეპტიდის, ანტისხეულის, ანტისხეულის

ფრაგმენტის, კონიუგატის, დიდი მოლეკულის, მცირე ზომის მოლეკულის, რომლებსაც გააჩნია სამიზნე მოლეკულის ერთი ან მეტი ბიოლოგიური აქტივობის აქტივაციის უნარი.

თერაპიული ანტისხეულების კვლევებში ხშირად გულისხმობენ, შეძლებისდაგვარად, ანტაგონისტური ანტისხეულების მიღებას.

ანტაგონისტი ანტისხეულების კლასიკური მაგალითებია Herceptin, Pertuzumab, Cetuximab, ანტი-VEGFR ან ანტი-IGF-1R ანტისხეულები.

განსაკუთრებულ ნიმუშად შეიძლება აღნიშნულ იქნეს ანტი-cMet 5D5 ანტისხეული, წარმოქმნილი Genentech-ის [WO 96/38557] მიერ, რომელიც სხვადასხვა მოდელებში ცალკე დამატებისას იქცევა როგორც ძლიერი აგონისტი. ამ ტექნიკური პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო გახდა გენური ინჟინერიის საშუალებით ამ ანტისხეულის Fab ფრაგმენტად ანუ მონოვალენტურ ანტისხეულად (ერთ-მხარიან 5D5-ად) გადაქცევა იმისათვის, რომ მას ანტაგონისტური აქტივობის უნარი შეეძინა. ამის შედეგად, ასეთი ანტისხეული არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ანტისხეული, არამედ ითვლება ფრაგმენტად და არ ავლენს “სრული ანტისხეულის” ფორმატისათვის დამახასიათებელ ყველა უპირატესობას (არავითარი ეფექტორული ფუნქციები, შემცირებული კლირენსი და არსებობის ნახევარპერიოდი [2-ჯერ უფრო მცირე, ვიდრე აქვთ ტრადიციულ ორვალენტიან ანტისხეულებს, როგორც აღწერილი იყო Poster 411-ში მე20 EORTC-NCI-AACR სიმპოზიუმზე, უნევა, ოქტომბერი 21-24, 2008]).

დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ ეფექტორულ ფუნქციებში შედის, მაგალითად, C1q ბმა; კომპლემენტდამოკიდებული ციტოტოქსიკურობა; Fc რეცეპტორის ბმა; ანტისხეულზე-დამოკიდებული უჯრედ-მედიატორობით განხორციელებული ციტოტოქსიკურობა (ADCC); ფაგოციტოზი; და უჯრედის ზედაპირის რეცეპტორების (მაგ., B უჯრედის რეცეპტორის; BCR) ქვემოთკენ რეგულირება და არსებობის ნახევარპერიოდის გახანგრძლივება გადარჩენის რეცეპტორის მაკავშირებელი ლიგანდის (FcRn) ჩართვით, როგორც აღწერილია, მაგალითად, U.S. Patent No. 5,739,277-ში, გაცემულს 1998 წლის 14 აპრილს.

მოცემული გამოგონების, ერთ-ერთი ასპექტია ასეთი ტექნიკური პრობლემების გადაჭრა, ე.ო. ანტისეულის ანტაგონისტური აქტივობის გაუმჯობესება, “სრული ორვალენტიანი” ფორმატის შენარჩუნებით.

უნდა აღნიშნულ იქნეს აქ, რომ გამოგონების გამოყენება შესაძლებელია “ჰუმანური თაგვების” (გენეტიკურად მოდიფიცირებული თაგვები, რომლების საშუალებითაც იწარმოება ადამიანის იმუნოგლობულინები) იმუნიზაციის მოცემული გამოგონების შედეგად მიღებული ადამიანის ანტისეულების აგონისტური/ანტაგონისტური აქტივობის მოდულირებისათვის ან ფაგების დისპლეი-ტექნიკის გამოყენებით სრული ანტისეულების აგებისათვის, არჩეული scFv, Fab ან ნებისმიერი სხვა, ეკვივალენტური ფრაგმენტებიდან.

სხვა კლასიკური ტექნიკური პრობლემა შეიძლება შეგვხდეს თაგვის ანტისეულის ქიმერიზაციის და/ან ჰუმანიზაციის პროცესში. დარგის სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ თუ თაგვის ანტისეულის ქიმერიზაციის და/ან ჰუმანიზაციის პროცესი სავსებით იოლია თეორიულად, ადვილი არ არის თაგვის ასეთი ანტისეულის ქიმერიზაციის და/ან ჰუმანიზაციის წარმართვა ყველა საწყისი თავისებურების ან ნაწილის დაკარგვის გარეშე. ქიმერულმა ან ჰუმანიზებულმა ანტისეულმა შესაძლოა დაკარგოს მისი ADCC, CDC, ანტაგნისტურ/აგონისტური, ბმის, (TBC) ... აქტივობები. მოცემული გამოგონებისათვის განსაკუთხებულ ინტერესს წარმოადგენს თაგვის ანტისეულის აგონისტური/ანტაგონისტური აქტივობის მოდიფიკაცია ქიმერიზაციის და/ან ჰუმანიზაციის პროცესის შემდეგ.

განსაკუთრებულ ნიმუშად შეიძლება მოყვანილ იქნეს ანტი-c-Met ანტისეულების ნაკრები, რომლებიც ამის შემდეგ აღწერილი იქნება როგორც 224G11, 2274H1 და 11E1, რომლებიც ძლიერი ანტაგონისტური თვისების თაგვის ანტისეულები იყო და ნაწილობრივი აგონისტები გახდა ადამიანის IgG1 ფორმატზე ქიმერიზაციის შემდეგ. ძლიერი ანტაგონისტებიდან ნაწილობრივი აგონისტებისაკენ ეს წანაცვლება გამოიხატა *in vivo* აქტივობის სრულ დაკარგვაში ქსენოტრანსპლანტაციურ მოდელებში.

მოცემული გამოგონების მიზანია ამ პრობლემების გადაჭრა და იგი განსაკუთრებით ეხება სპეციფიკური სამიზნე მოლეკულის წინააღმდეგ მიმართული მონოკლონური ანტისეულის, ან მისი ორვალენტიანი ფუნქციური ფრაგმენტის ან წარმოებულის ანტაგონისტური აქტივობის გაუმჯობესების პროცესს, ამასთან აღნიშნულ ანტისეულს გააჩნია აღნიშნული სამიზნე

მოლეკულის ერთი ან მეტი ბიოლოგიური აქტივობის ინჰიბირების უნარი, ხოლო აღნიშნულ პროცესში შედის ანტისეეულის სახსრული უბნის რეკონფიგურაციის ეტაპი, რომელიც შეიცავს აღნიშნული სახსრული უბნის ამინომჟავების თანამიმდევრობის მოდიფიკაციას, სულ მცირე, ერთი მაინც ამინომჟავას დელეციის, დამატების ან ჩანაცვლების საშუალებით.

ნათელია, რომ გამოთქმა “ანტაგონისტური აქტივობის გაუმჯობესება” უნდა ინტერპრეტირებულ იქნეს ყველაზე ფართო გაგებით, ე.ო. როგორც სასურველი შედეგის მიღება. მექანიკურად, ასეთი შედეგის მიღება შესაძლებელია ანტისეეულის დამახასიათებელი ანტაგონისტური აქტივობის გაუმჯობესების და/ან არსებული აგონისტური აქტივობის შემცირების საშუალებით.

უფრო ზუსტად, ტერმინების ძირითადი განსაზღვრებები რაოდენობრივ ფარმაკოლოგიაში დაფუძნებულია განახლებულ რეკომენდაციებზე, რომლებიც მოცემულია International Union of Pharmacology (IUPHAR) Committee on receptor Nomenclature (იხილეთ Neubig et al., 2003)-ში.

ტერმინი “აგონისტი” აღნიშნავს ლიგანდს (ნებისმიერი ტიპის მოლეკულას), რომელიც ბმაში შედის რეცეპტორთან და ცვლის რეცეპტორის მდგომარეობას, რაც გამოიხატება მის სტიმულატორულ ან გაზრდილ ბიოლოგიურ რეაქციაში. აგონისტებს შეუძლიათ სრული აგონისტებივით ან ნაწილობრივი აგონისტებივით მოქმედება:

- სრული აგონისტი: როდესაც აგონისტის მიერ ინდუცირებული რეცეპტორის გაღიზიანება აღწევს სისტემისათვის დამახასიათებელი რეაქციის უნარის მაქსიმუმს, მაშინ მიიღება სისტემის მაქსიმალური რეაქცია და აგონისტი არის სრული აგონისტი ამ სისტემაში. რამოდენიმე აგონისტმა შესაძლებელია რომ გამოამჟღავნოს ერთნაირი მაქსიმალური რეაქცია, მაშინ ისინი ყველა არის სრული აგონისტი ამ ექსპერიმენტულ სისტემაში.

- ნაწილობრივი აგონისტი: არის მოლეკულა, რომელიც მოცემულ ქსოვილში, სპეციფიკურ პირობებში, ვერ ამჟღავნებს დიდ ზეგავლენას (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოყენებულია ისეთი მაღალი კონცენტრაციით, რომ ყველა რეცეპტორი უნდა იყოს დაკავებული), როგორიც შეუძლია გამოავლინოს იგივე სისტემაში იმავე რეცეპტორების საშუალებით მოქმედმა სრულმა აგონისტმა. ნაწილობრივი აგონისტები, ძირითადად, ნაწილობრივი ანტაგონისტებიც არიან, ვინაიდან სრული აგონისტის თანამყოფობისას ისინი

ამცირებენ აღნიშნული სრული აგონისტის მაქსიმალურ რეაქციას საკუთარ მაქსიმალურ რეაქციამდე. სრული და ნაწილობრივი აგონისტის ეს განსაზღვრა სისტემა-დამოკიდებულია და ერთ სისტემაში ან ერთი გაზომვის დროს სრული აგონისტი შეიძლება ნაწილობრივი აგონისტი იყოს სხვა სისტემაში.

ტერმინი “ანტაგონისტი” აღნიშნავს მოლეკულას, რომელიც ასუსტებს სხვა სამკურნალო საშუალების, ძირითადად აგონისტის, მოქმედებას. მრავალი ანტაგონისტი იმავე რეცეპტორის მაკრომოლეკულაზე მოქმედებს, რაც აგონისტი.

- ანტაგონიზმის ეფექტურობა შეიძლება რომ იყოს სრული იქ, სადაც სისტემის რეაქცია ანტაგონისტისა და აგონისტის თანამყოფობისას შეესაბამება ამ სისტემის ბაზალურ (ნებისმიერი ლიგანდის გარეშე) აქტივობას.

- ანტაგონისტი შეიძლება მოქმედებდეს როგორც ნაწილობრივი ანტაგონისტი, როდესაც მაქსიმალური ინჰიბირება (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოყენებულია ისეთი მაღალი კონცენტრაციით, რომ ყველა რეცეპტორი უნდა იყოს დაკავებული ამ ანტაგონისტით), გამომჯდავნებული ანტაგონისტისა და აგონისტის თანამყოფობის საშუალებით, სისტემის ბაზალურ აქტივობაზე მეტია.

- ანტაგონიზმი შეიძლება იყოს კონკურენტული, როდესაც აგონისტისა და ანტაგონისტის ბმა ურთიერთგამომრიცხავია. ეს შეიძლება მოხდეს იმის გამო, რომ აგონისტი და ანტაგონისტი კონკურირებს ერთი და იგივე ადგილისათვის ან გაერთიანებულად ერთმანეთის გადამფარავ მომიჯნავე ადგილებისათვის. მესამე შესაძლებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩართული არის ბმის სხვადასხვა ადგილები, მაგრამ ისინი ისე მოქმედებს რეცეპტორის მაკრომოლეკულაზე, რომ აგონისტ და ანტაგონისტ მოლეკულებს არ შეუძლიათ ერთი და იმავე დროს ბმა.

არაკონკურენტულ ანტაგონიზმს ადგილი აქვს, როდესაც აგონისტს და ანტაგონისტს შეუძლიათ რეცეპტორთან ერთდროულად ბმა; ანტაგონისტის ბმა ამცირებს ან ხელს უშლის აგონისტის მოქმედებას აგონისტის ბმაზე რაიმე გავლენით ან მის გარეშე.

დელეციის, დამატების ან ჩანაცვლების განხორციელება შესაძლებელია კლასიკურად, დარგის სპეციალისტისათვის ცნობილი ნებისმიერი ხერხით.

დარგის სპეციალისტებმა მოცემულ ძნთ-ის თანამიდევრობაში დამატებების, დელეციებისა და ინსერციების წარმოსაქმნელად შეიძლება რომ გამოიყენონ რამოდენიმე მეთოდი. შეზღუდვების გარეშე, შეიძლება აღინიშნოს ძნთ-ის ნაწილობრივი დამუშავება პანკრეატული ძნთse I-ით, ძნთ-ის ნაწილობრივი დამუშავება რესტრიკციის ენზიმებით, ლინკერ-დაფუძნებული ჩართვების მუტანტები, დელეციების ჩართული სიმრავლის მუტანტები BAL31 ნუკლეაზას, ძნთse I ან უზონუკლეაზა III გამოყენებით. ეს მეთოდები ყოველმხრივ არის აღწერილი ლაბორატორიულ სახელმძღვანელოებში, როგორიცაა Molecular Cloning, A Laboratory manual (Sambrook, Fritsch and Maniatis). ძნთ მოლეკულაში დელეციების, ინსერციების ან ადგილზე-მიმართული მუტაგენეზის განხორციელებისათვის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს PCR-დაფუძნებული მეთოდები, როგორიცაა გადაფარვა-გაფართოებული PCR (Wurch et al., 1998), და ეს მეთოდები ამით არ შემოიფარგლება. ადგილზე მიმართული მუტაგენეზის განხორციელებისათვის შესაძლებელია რამოდენიმე სხვა ხერხის გამოყენებაც, მაგალითისათვის და არა შეზღუდვის მიზნით, შეიძლება დასახელებულ იქნეს ოლიგონუკლეოტიდ-დაფუძნებული მუტაგენეზი, რომელიც ეფუძნება ერთ- ან ორმაგი-პრაიმერის მეთოდებს, Kunkel-ის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ურაცილის ჩართვაზე (Kunkel, 1985). ეს მეთოდები დეტალურად არის აღწერილი ლაბორატორიულ სახელმძღვანელოებში, როგორიცაა Molecular Cloning, A Laboratory manual (Sambrook, Fritsch and Maniatis).

დამატების არაშემზღდველ მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს პროლინის დამატება სახსრულ უბანში ან მის მიმდებარედ.

გამოგონებით მოცემული პროცესის უპირატესი განხორციელების ნიმუშში აღნიშნული მოდიფიკაცია არჩეულია:

- i) აღნიშნული სახსრული უბნის ამინომჟავების თანამიმდევრობის, სულ მცირე, ერთი მაინც ამინომჟავას დელეციიდან; და/ან
- ii) აღნიშნულ სახსრულ უბანში, სულ მცირე, ერთი მაინც დისულფიდური ხიდის დამატებიდან.

გამოგონების ნათლად განმარტების მიზნით, პირველ რიგში დეტალიზებული იქნება პირველი ასპექტი (i), ხოლო შემდეგ მეორე (ii) ასპექტი. გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი რიგითობა მხოლოდ ფორმალურია

და ორივე ეს ასპექტი ერთნაირი მნიშვნელობისაა, რაც ცხადი გახდება ამის შემდეგ.

განსაკუთრებულ განხორციელების ნიმუშში სახსრული უბნის ამინომჟავების თანამიმდევრობის მოდიფიცირების გზა მდგომარეობს აღნიშნული სახსრული უბნის ამინომჟავების თანამიმდევრობის, არა უმეტეს, ვიდრე 2, 3 ან 4 ამინომჟავას დელეციაში.

გამოგონების განსაკუთრებული ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული მონოკლონური ანტისხეული ორგალენტიანი ანტისხეულია. რეალურად, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, შესაძლებელია ანტისხეულის აგონისტური/ანტაგონისტური აქტივობის მოდულაცია აღნიშნული ანტისხეულის სტრუქტურის მოდულაციის საშუალებით. ჯერ გადმოცემული იქნება ასეთი აგონისტური/ანტაგონისტური აქტივობის მოდულაციის ორიგინალური გზა ანტისხეულის ორგალენტიანი ფორმის იმავდროული შენარჩუნებით, რისი მიზანია ისეთი სასარგებლო თვისებების შენარჩუნება, როგორიცაა არსებობის ხანგრძლივობის დიდი ნახევარპერიოდი ან ეფექტორული ფუნქციები.

აქ შეიძლება ასევე აღნიშნულ იქნეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დარგში უკვე მოხსენიებული იყო ეფექტორული ფუნქციების გაზრდის მიზნით სახსრული უბნის მოდიფიკაციის შესახებ, პირიქით, მონოკლონური ანტისხეულის აგონისტური/ანტაგონისტური აქტივობის მოდულაციის მიზნით სახსრული უბნის მოდიფიკაციის შესახებ არსად არასდროს არ ყოფილა მოხსენიებული. ეს აშკარად მოცემული გამოგონების საგანია, რომელიც სრულიად ახალია დარგში.

გამოგონებით მოცემული პროცესის ერთი ასპექტის მიხედვით, მონოკლონური ანტისხეული არის ქიმიურული ანტისხეული.

“ქიმერული” ანტისხეული ისეთი ანტისხეულია, რომელიც შეიცავს მოცემული სახეობის ანტისხეულიდან მიღებულ ბუნებრივ ვარიაბელურ (მსუბუქი ჯაჭვი და მძიმე ჯაჭვი) უბანს, აღნიშნული მოცემული სახეობის ჰეტეროლოგიური სახეობის (მაგ., თაგვის, ცხენის, ბოცვერის, ძალლის, ძროხის, წიწილის და ა.შ.) მსუბუქი და მძიმე ჯაჭვის მუდმივ უბნებთან კომბინაციაში.

გამოგონების მიხედვით ქიმერული ტიპის ანტისხეულების ან მათი ფრაგმენტების დამზადება შესაძლებელია გუნდტიკური რეკომბინაციის

ტექნიკის გამოყენებით. მაგალითად, ქიმიური ანტისხეული შეიძლება წარმოებულ იქნეს რეკომბინანტული ძნო-ის კლონირებით, რომელიც შეიცავს პრომოტორს და თანამიმდევრობას, რომლითაც კოდირებულია გამოგონებით მოცემული არაჰიდროკარბონი, კერძოდ, თაგვის მონოკლონური ანტისხეულის ვარიაბელური უბანი, და თანამიმდევრობას, რომლითაც კოდირებულია ადამიანის ანტისხეულის მუდმივი უბანი. ასეთი რეკომბინანტული გენით კოდირებული გამოგონებით მოცემული ქიმიური ანტისხეული იქნება, მაგალითად, თაგვი-ადამიანის ქიმერა და ამ ანტისხეულის სპეციფიკურობა განისაზღვრება თაგვის ძნო-იდან მიღებული ვარიაბელური უბნით, ხოლო მისი იზოტიპი განისაზღვრება ადამიანის ძნო-იდან მიღებული მუდმივი უბნით. რაც შეეხება ქიმიური ანტისხეულების დამზადების მეთოდებს, ამისათვის შეიძლება მივმართოთ დოკუმენტებს Verhoeven et al. (BioEssays, 8:74, 1988), Morrison et al. (Proc. Natl. Acad. Sci. USA 82:6851-6855, 1984) ან US Patent No. 4,816,567.

გამოგონებით მოცემული პროცესის მეორე ასპექტის მიხედვით, მონოკლონური ანტისხეული არის ჰუმანიზებული ანტისხეული.

“ჰუმანიზებული ანტისხეული” ისეთი ანტისხეულია, რომელიც შეიცავს CDR უბნებს, მიღებულს არაჰიდროკარბონი წარმომავლობის ანტისხეულიდან, ხოლო ანტისხეულის მოლექულის სხვა ნაწილები წარმოებულია ერთი (ან რამოდენიმე) ადამიანის ანტისხეულებიდან ან ჩანასახის ხაზის თანამიმდევრობებიდან. გარდა ამისა, შესაძლებელია ანტისხეულის ჩონჩხის სეგმენტების (ე.წ. FR) ზოგიერთი ნაშთის მოდიფიცირება, რათა შენახულ იქნეს გმის აფინურობა (Jones et al., Nature, 321:522-525, 1986; Verhoeven et al., Science, 239:1534-1536, 1988; Riechmann et al., Nature, 332:323-327, 1988).

გამოგონების მიხედვით ჰუმანიზებული ანტისხეულების ან მათი ფრაგმენტების დამზადება შესაძლებელია დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილი ხერხებით (როგორიცაა, მაგალითად, აღწერილი დოკუმენტში Singer et al., J. Immun. 150:2844-2857, 1992; Mountain et al., Biotechnol. Genet. Eng. Rev., 10:1-142, 1992; ან Bebbington et al., Bio/Technology, 10:169-175, 1992).

ჰუმანიზაციის სხვა მეთოდი, რომელიც ცნობილია დარგის სპეციალისტებისათვის, არის “CDR დამყნობის” მეთოდი, რომელიც აღწერილია Protein Design Lab (PDL) მიერ, პატენტის განაცხადებში EP 0 451 216,

EP 0 682 040, EP 0 939 127, EP 0 566 647 ან US 5,530,101, US 6,180,370, US 5,585,089 და US 5,693,761. შეიძლება ასევე აღინიშნოს მომდევნო პატენტის გამნაცხადებიც: US 5,639,641; US 6,054,297; US 5,886,152 და US 5,877,293.

გამოგონებით მოცემული პროცესის კიდევ სხვა ასპექტის მიხედვით, მონოკლონური ანტისხეული არის ადამიანის ანტისხეული.

ტერმინში “ადამიანის ანტისხეული” შედის ყველა ანტისხეული, რომელსაც გააჩნია ერთი ან მეტი ვარიაბელური და მუდმივი უბანი, რომელიც წარმოებულია ადამიანის იმუნოგლობულინის თანამიმდევრობებიდან. გამოგონების უპირატესი განხორციელების ნიმუშში ყველა ვარიაბელური და მუდმივი დომენები (ან უბნები) წარმოებულია ადამიანის იმუნოგლობულინის თანამიმდევრობიდან (ადამიანის სრული ანტისხეული). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასში შედის ყველა ანტისხეული, რომელსაც გაანია ვარიაბელური და მუდმივი უბნები (თუ გააჩნია), რომლებიც ნაწარმოებია ადამიანის ჩანასახის ხაზის იმუნოგლობულინის თანამიმდევრობებიდან, ე.ო. რომელსაც გააჩნია თანამიმდევრობა, შესაბამისი ადამიანის მიერ ნაწარმოები ანტისხეულის ამინომჟავების თანამიმდევრობისა და/ან დამზადებულია დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილი ადამიანის ანტისხეულების დამზადების ნებისმიერი ტექნიკის გამოყენებით.

ერთ-ერთ განხორციელების მაგალითში ადამიანის მონოკლონური ანტისხეულები ნაწარმოებია ჰიბრიდომას საშუალებით, რომელიც შეიცავს B უჯრედს, მიღებულს ტრანსგენული ცხოველისაგან, გარდა ადამიანისა, მაგალითად, ტრანსგენული თაგვისაგან, რომელსაც გააჩნია გაუკვდავებულ უჯრედთან შერწყმული ადამიანის მძიმე ჯაჭვის ტრანსგენი და მსუბუქი ჯაჭვის ტრანსგენი.

ასეთი ტრანსგენული თაგვის მაგალითად შეიძლება აღნიშნულ იქნეს XENOMOUSE<sup>TM</sup>, რომელიც წარმოადგენს გენური ინჟინერიის საშუალებით გამოყვანილი თაგვის შტამს. იგი შეიცავს ადამიანის იმუნოგლობულინის ლოკუსების დიდ ფრაგმენტებს და იგი არასრულყოფილია თაგვის ანტისხეულების საწარმოებლად (Green et al., 1994, Nature Genetics, 7:13-21). XENOMOUSE<sup>TM</sup>-ის საშუალებით ხდება მოზრდილი ადამიანის სრული ანტისხეულების მთელი რეპერტუარის წარმოება და ადამიანის მონოკლონური ანტიგენ-სპეციფიკური ანტისხეულების წარმოქმნა. XENOMOUSE<sup>TM</sup>-ის მეორე

თაობა შეიცავს ადამიანის ანტისხეულების რეპერტუარის დაახლოებით 80%-ს (Green & Jakobovits, 1998, J. Exp. Med., 188:483-495).

გამოგონებით მოცემული ადამიანის ანტისხეულების წარმოქმნისათვის შესაძლებელია აგრეთვე დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილი ნებისმიერი სხვა ტექნიკის, როგორიცაა, მაგალითად, ფაგების დისპლეი, გამოყენებაც.

გამოგონებით მოცემული პროცესის გამოყენება შესაძლებელია სახსრული უბნის შემცველი ნებისმიერი ტიპის იმუნოგლობულინებისათვის, ე.ო. IgA, IgD და IgG-თვის.

მაგალითისათვის, IgA იზოტიპისათვის IgA1-ის სახსრული უბანი შეიცავს ამინომჟავების თანამიმდევრობას PSTPPTPSPTPPTPSPS (SEQ ID NO. 8) და IgA2-ის სახსრული უბანი შეიცავს თანამიმდევრობას PPPPP (SEQ ID No. 9).

ამის მსგავსად, IgD-ს სახსრული უბანი შეიცავს ამინომჟავების თანამიმდევრობას SPKAQASSVPTAQPQAEGSLAKATTAPATTRNTRGGEEKKKEK EKEEQERETKTP (SEQ ID No. 10).

გამოგონების განსაკუთრებული განხორციელების ნიმუშად უპირატესია IgG-ს გამოყენება, IgG1, IgG2, IgG3 ან IgG4-ის ჩათვლით.

IgG-ის სხვადასხვა იზოტიპის სახსრული უბნის შესაბამისი ამინომჟავების თანამიმდევრობებია:

PKSCDKTHTCPPCP (SEQ ID No. 11) IgG1-თვის,

RKCCVECPPCP (SEQ ID No.7) IgG2-თვის,

LKTPLFTGDTTHTCPRCPEPKSCDTPPPCPRCPEPKSCDTPPPCPRCPEPKSCDT PPPCPRCP (SEQ ID No. 12) IgG3-თვის, და

SKYGPPCPSCP (SEQ ID No. 13) IgG4-თვის.

კიდევ უფრო უპეტესია უპირატესად IgG1-ის გამოყენება. თერაპიული ანტისხეულების სფეროში, და უფრო ზუსტად კი კიბოს სამკურნალოდ, უპირატესია IgG1-ის წარმოქმნა ისეთი ეფექტორული ფუნქციების მისაღებად, როგორიცაა ADCC და CDC, სამიზნე ანტიგენთან სპეციფიკურ ბმასთან დაკავშირებულ ფუნქციებთან ერთად.

გამოგონებით მოცემული პროცესი განსხვავდება იმით, რომ აღნიშნული მონოკლონური ანტისხეული არის IgG1.

“სამიზნე მოლეკულა”, გამოგონების მიხედვით, არის ნებისმიერი მოლეკულა, რომელთანაც მონოკლონურ ანტისხეულს შეუძლია

სპეციფიკურად ბმა ან მისი აქტივობის მოდულაცია. ზოგადად, ასეთ სამიზნე მოლეკულას შეიძლება “ანტიგენი” ეწოდოს.

სამიზნე მოლეკულის არაშემზღვდავ მაგალითად შეიძლება აღნიშნულ იქნეს ხსნადი ლიგანდები, რეცეპტორები, როგორიცაა ტრანსმემბრანული რეცეპტორები, კიბოს მემბრანული მარკერები და ა.შ.

გამოგონების უპირატესი განხორციელების ნიმუშში აღნიშნული სამიზნე მოლეკულა არის ტრანსმემბრანული რეცეპტორი.

გამოთქმა “ტრანსმემბრანული რეცეპტორი” ეხება ისეთ პროტეინს, რომელიც კრცელდება უჯრედის პლაზმის მემბრანაში უჯრედგარე პროტეინის დომენით, რომელსაც ლიგანდთან ბმის უნარი გააჩნია, და უჯრედშიგა დომენით, რომელსაც ლიგანდის ბმისას აქტივობის (როგორიცაა პროტეინ კინაზა) ცვლილების (ან ზრდის ან შემცირების) უნარი გააჩნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრანსმემბრანული რეცეპტორები არის ინტეგრალური მემბრანული პროტეინები, რომლებიც იმყოფება და ჩვეულებრივ მოქმედებს უჯრედის პლაზმის მემბრანის შიგნით, მაგრამ ასევე სუბუჯრედულ ნაწილებისა და ორგანელების მემბრანებში. მემბრანის ერთ მხარეზე მასიგნალებელ მოლეკულასთან, ან ზოგჯერ ასეთი მოლეკულების წყვილთან ბმისას, ტრანსმემბრანული რეცეპტორი ინიცირებს რეაქციას მეორე მხარეზე. ამ გზით ისინი ასრულებენ უნიკალურ და მნიშვნელოვან როლს უჯრედოვან კომუნიკაციებში და სიგნალების გადაცემაში.

მრავალი ტრანსმემბრანული რეცეპტორი შედგება ორი ან მეტი პროტეინული სუბერთულისგან, რომლებიც კოლექტიურად მოქმედებს და შეუძლიათ დისოციაცია ლიგანდების ბმის, მოცილების ან მათი “აქტივაციის” ციკლის სხვა ეტაპებზე. მათი კლასიფიკაცია ხშირად ხდება მათი მოლეკულური სტრუქტურის საფუძველზე ან, რადგანაც მათი სტრუქტურა დეტალურად უცნობია, ზოგი რეცეპტორის გამოკლებით, მათ ჰიპოთეზურ (ზოგჯერ ექსპერიმენტულად დადასტურებული) მემბრანის ტოპოლოგიის საფუძველზე. არის ნაწინასწარმეტყველები, რომ უმარტივესი რეცეპტორის პოლიპეტიდური ჯაჭვები მხოლოდ ერთხელ ჰქვეთს ლიპიდურ ბიფენას, მაშინ როცა სხვები არანაკლებ ვიდრე შვიდჯერ (ეგრეთწოდებული G-პროტეინთან ბმული რეცეპტორები ან GPCR-ები) და მეტადაც.

ნებისმიერი ინტეგრალური მემბრაბული პროტეინის მსგავსად, ტრანსმემბრანული რეცეპტორი შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად, ანუ

დომენებად, უჯრედგარე დომენად, ტრანსმემბრანულ დომენად და უჯრედშიგა დომენად.

უჯრედგარე დომენი არის რეცეპტორის ის ნაწილი, რომელიც გამოშვერილია მემბრანიდან უჯრედის ან ორგანელას გარეთ. თუ რეცეპტორის პოლიპეპტიდური ჯაჭვი რამოდენიმეჯერ ჰქვეთს ბიფენას, მაშინ გარე დომენი შეიძლება შეიცავდეს მემბრანიდან გამოშვერილ რამოდენიმე “მარყუჯს”. განსაზღვრის მიხედვით, რეცეპტორის მთავარი ფუნქციაა სპეციფიკური ლიგანდის ამოცნობა და რეაგირება, მაგალითად, ნეიროტრანსმიტერის ან ჰორმონის (თუმცა, ზოგი რეცეპტორი რეაგირებს ასევე ტრანსმემბრანული პოტენციალის ცვლილებაზეც), ხოლო მრავალ რეცეპტორში ეს ლიგანდები უკავშირდება უჯრედგარე დომენს.

იმ რეცეპტორების უმრავლესობის შემთხვევაში, რომლების სტრუქტურა დამტკიცებულია, ტრანსმემბრანული ალფა სპირალები წარმოადგენს ტრანსმემბრანული დომენების უმეტესობას. ზოგიერთი რეცეპტორის შემთხვევაში, როგორიცაა ნიკოტინის აცეტილქოლინის რეცეპტორი, ტრანსმემბრანული დომენი ქმნის მემბრანაში გამავალ პროტეინ-ამოგებულ ფორს ანუ იონურ არხს. შესაფერის ლიგანდთან ბმის საშუალებით უჯრედგარე დომენის აქტივაციისას, ფორი იონებისათვის გასავალი ხდება და ისინი მასში გაივლიან. სხვა რეცეპტორებში ფიქრობენ, რომ ტრანსმემბრანული დომენები ბმისას განიცდიან კონფორმაციულ ცვლილებებს, რაც გავლენას ახდენს უჯრედის შიგნით მდგომარეობაზე. ზოგიერთ რეცეპტორებში, როგორიცაა 7TM სუპეროჯახის წევრები, ტრანსმემბრანული დომენი შეიძლება შეიცავდეს ლიგანდის ბმის ჯიბეს.

რეცეპტორის უჯრედშიგა (ან ციტოპლაზმური) დომენი ურთიერთქმედებს რა უჯრედის ან ორგანელას შიგა ნაწილთან, უზრუნველყოფს სიგნალის გადაცემას. არსებობს ამ ურთიერთქმედების ფუნდამენტალურად განსხვავებული ორი გზა: ა) უჯრედშიგა დომენი სპეციფიკური პროტეინ-პროტეინ ურთიერთქმედებების საშუალებით უპაგშირდება უფერტორ პროტეინებს, რომლებიც თავის მხრივ აგზავნიან სიგნალს მასიგნალებელი ჯაჭვის გასწვრივ დანიშნულების ადგილას, და ბ) ენზიმ-დაგაგშირებული რეცეპტორებით უჯრედშიგა დომენს გააჩნია ენზიმატური აქტივობა. ხშირად ეს არის ტიროზინკინაზას აქტივობა.

ენზიმატურ აქტივობას შეიძლება ასევე ადგილი ჰქონდეს უჯრედშიგა დომენთან ასოცირებულ ენზიმზე.

უჯრედისათვის არსებობს ტრანსმემბრანული დომენის რეგულირების რამოდენიმე გზა. მათი უმეტესობა მოქმედებს უჯრედშიგა დომენის მეშვეობით. ყველაზე მნიშვნელოვანი გზებია ფოსფორილება და ინტერნალიზაცია (იხილეთ უბიკვიტინი) ან მეორადი მესენჯერ კასკადების, როგორიცაა cAMP, IP, Ca<sup>2+</sup> ან cGMP, აქტივაცია.

ყველა მემბრანული პროტეინი, რომელიც ამჟღავნებს ენზიმატურ აქტივობას, შეიძლება გახდეს გამოგონებით აღწერილი მოდიფიკაციების მქონე ანტისეულების სამიზნე. მაგალითისათვის და არა შეზღუდვის მიზნით, შეიძლება აღნიშნულ იქნეს მატრიცულ მეტალოპროტეაზას (MMP) ოჯახი, დეზინტეგრინის და მეტალოპროტეაზას დომენის პროტეაზას (ADAM) ოჯახი, ადენილატ ციკლაზები, ...

ყველა მემბრანული პროტეინი, რომლებიც მოქმედებს როგორც იონური არხები, ფორები და ტრანსპორტერები, შეიძლება იყოს წინამდებარე გამოგონებაში აღწერილი მოდიფიკაციების მქონე ანტისეულების სამიზნე. მაგალითისათვის და არა შეზღუდვის მიზნით, შეიძლება დასახელებულ იქნეს ნატრიუმის არხების ოჯახი, კალიუმის არხების ოჯახი, ნიკოტინის აცეტილქოლინის რეცეპტორის ოჯახი, სიგმა რეცეპტორები, მონოამინის ტრანსპორტერის ოჯახი.

უფრო ფართოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველა მემბრანული პროტეინი, რომელიც კი იდენტიფიცირებულია როგორც მოცემული დაავადების მარკერი, ასევე შეიძლება გახდეს ანტისეულებით მეურნალობის სამიზნე და ეს ანტისეულებიც ასევე შეიძლება რომ გაუმჯობესებულ იქნეს გამოგონებაში აღწერილი მოდიფიკაციების საშუალებით.

გამოგონების უპირატესი განხორციელების ნიმუშში აღნიშნული ტრანსმემბრანული რეცეპტორი არჩეულია ჯგუფიდან, რომელშიც შედის: ტიროზინკინაზას რეცეპტორი, ტეტრასპანინი და GPCR-ები.

უფრო უპირატეს განხორციელების ნიმუშში აღნიშნული ტრანსმემბრანული რეცეპტორი არის ტიროზინკინაზას რეცეპტორი, რომელიც უპირატესად არჩეულია ჯგუფიდან, რომელშიც შედის IGF-1R, c-Met, RON, Ax1, VEGF, VEGFR, Her-2neu, ErbB ოჯახის ჰომოდიმერები და ჰეტეროდიმერები და ა.შ.

მოცემულ განაცხადში, და უფრო ზუსტად მომდევნო სპეციფიკაციაში, თანამიმდევრობები განსაზღვრული იქნება IMGT-ს მიხედვით. IMGT-ს ნუმერაციის უნიკალური სისტემა განსაზღვრულია ნებისმიერი ანტიგენის რეცეპტორის ვარიაბელური დომენის, ჯაჭვის ტიპის ან სახეობების შედარებისათვის [Lefranc M.-P. Immunology Today 18, 509 (1997); Lefranc M.-P., The Immunologist, 7, 132-136 (1999); Lefranc M.-P., Pommie, C., Ruiz, M., Giudicelli, V., Foulquier E., Truong, L., Thouvenin-Contet V. and Lefranc, Dev. Comp. Immunol., 27, 55-77 (2003)]. IMGT-ს უნიკალური ნუმერაციით შენახულ ამინომჟავებს ყოველთვის ერთი და იგივე პოზიცია აქვთ, მაგალითად, ცისტეინ 23 (1<sup>st</sup>-CYS), ტრიფტოფან 41 (CONSERVED-TRP), ჰიდროფობული ამინომჟავა 89, ცისტეინ 104 (2<sup>nd</sup>-CYS), ფენილალანინი ან ტრიფტოფანი 118 (J-PHE ან J-TRP). IMGT-ს ნუმერაციის უნიკალური სისტემა უზრუნველყოფს კარკასული უბნების (FR1-IMGT: პოზიციები 1-დან 26-მდე, FR2-IMGT: 39-დან 55-მდე, FR3-IMGT: 66-დან 104-მდე და FR4-IMGT: პოზიციები 118-დან 128-მდე) და კომპლექსულობის განმსაზღვრელი უბნების: CDR1-IMGT: 27-დან 38-მდე, CDR2-IMGT: 56-დან 65-მდე და CDR3-IMGT: 105-დან 117-მდე, სტანდარტიზებული საზღვრების განსაზღვრას. ვინაიდან შუალედები (ცარიელი ადგილები) დაუკავებელ პოზიციებს აღნიშნავს, CDR-IMGT სიგრძეები (რომლებიც მოცემულია ფრჩხილებს შორის და გამოყოფილია წერტილებით, მაგალითად, [8.8.13]), კრიტიკულ ინფორმაციად გვევლინება. IMGT უნიკალური ნუმერაცია გამოყენებულია 2D გრაფიკულ წარმოდგენებში, რომლებსაც IMGT-ს Colliers de Perles-მარგალიტის ყელსაბამს უწოდებენ [Ruiz, M. and Lefranc, M.-P., Immunogenetics, 53, 857-883 (2002); Kaas, Q. and Lefranc, M.-P., Current Bioinformatics, 2, 21-30 (2007)] და 3D სტრუქტურებში, IMGT/3Dstructure-DB [Kaas, Q., Ruiz, M. and Lefranc, M.-P., T cell receptor and MHC structural data. Nucl. Acids. Res., 32, D208-D210 (2004)].

დარგის სპეციალისტებს შეუძლიათ IMGT სისტემის მიხედვით აღწერილი გამოგონების ტრანსპონირება ნუმერაციის ნებისმიერ სხვა სისტემაში, როგორიცაა, მაგალითად, Kabat-ის ნუმერაციის სისტემა.

IMGT-ს ნუმერაციის უნიკალური სისტემა ყველა სახეობის IG და TR V-REGION-თვის ეფუძნება ვარიაბელური უბნის სტრუქტურის მაღალ კონსერვაციას. ამ ნუმერაციით შექმნილია, დარეგულირების შემდეგ, 5 000-ზე

მეტი თანამიმდევრობა, მხედველობაშია მიღებული და გაერთიანებულია კარკასული (FR) და კომპლემენტარულობის განმსაზღვრელი (CDR) უბნები, სტრუქტურული მონაცემები, X-სხივებით დიფრაქციული კვლევებიდან და ჰიპერვარიაბელური მარყუების მახასიათებლები. განსაზღვრულ იქნა FR-IMGT და CDR-IMGT საზღვრები. მსგავსად ამისა, IMGT-ს ნუმერაციის უნიკალური სისტემა გამოყენებულ იქნა C-DOMAIN-თვის და Ig-მსგავს დომენების ზუსტი დელიმიტაციის (საზღვრების განსაზღვრის) საშუალებას იძლევა. იმუნოგლობულინის (IG) ტიპისგან დამოკიდებულებით, C-DOMAIN (C-დომენი) შეესაბამება სრულ C-REGION-ს (C-უბანს), C-უბნის უმეტესობას ან მხოლოდ C-უბნის ნაწილს.

IMGT ნუმერაცია C-DOMAIN-თვის (IG და TR) ნაწარმოებია როგორც IMGT-ს უნიკალური ნუმერაცია V-DOMAIN-თვის, პრინცეპსიდან IMGT-ს უნიკალური ნუმერაციისა V-REGION-თვის (უბნისათვის), 104 პოზიციამდე. ამიტომ, ადვილად არის შესაძლებელი ამინომჟავების პოზიციების შედარება C-DOMAIN-ს (დომენს) და V-DOMAIN (დომენს) შორის.

სახსრული უბნების ზუსტი განლაგების მიზნით, C-დომენისათვის IMGT ნუმერაცია გამოყენებულ იქნა CH1 და CH2 დომენების ზუსტი განლაგებისათვის. სახსრული უბანი შეიცავს ყველა ამინომჟავას ნაშთს IMGT-CH1 ბოლო ნაშთსა და IMGT-CH2 პირველ ნაშთს შორის.

მოცემულ გამოგონებაში ჩართულია აგრეთვე ერთი და იგივე სახსრული დომენის გადამფარავი ყველა სხვა ნუმერაციის სქემები, როგორიცაა Kabat-ის ან A. Honegger-ის.

როგორც გამოგონების უპირატესი განხორციელების ნიმუში, ზემოაღწერილი IMGT ნუმერაციის სისტემაზე დაყრდნობით, IgG1-ის სახსრული უბნის ამინომჟავების თანამიმდევრობა შეიცავს ნაშთებს H1-დან H14-მდე, სეგმენტით H1-დან H9-მდე, რომელიც შეესაბამება ზედა სახსრულ უბანს და სეგმენტით H10-დან H14-მდე, რომელიც შეესაბამება ცენტრალურ სახსრულ უბანს. უფრო ზუსტად, ადამიანის IgG1-ის სახსრული უბანი შეიცავს ამინომჟავების თანამიმდევრობას PKSCDKTHTCPPCP (SEQ ID No. 11), ხოლო თაგვის IgG1-ის სახსრული უბანი შეიცავს ამინომჟავების თანამიმდევრობას PRDCGCKPCICT (SEQ ID No. 14).

## ცხრილი 1

სახსრული უბანი	ნუმერაცია	ადამ.-IgG1 (SEQ ID No.11)	თაგვ.-IgG1 (SEQ ID No.14)	ადამ.-IgG1 (SEQ ID No.7)	ადამ.-IgG1 (SEQ ID No.11)
ზედა სახსარი	H1	P	P	-	-
	H2	K	R	R	S
	H3	S	D	K	K
	H4	C	C	C	Y
	H5	D	G	-	-
	H6	K	-	-	-
	H7	T	C	C	G
	H8	H	K	V	P
	H9	T	P	E	P
ცენტრალური სახსარი	H10	C	C	C	C
	H11	P	I	P	P
	H12	P	-	P	S
	H13	C	C	C	C
	H14	P	T	P	P

გამოგონების უპირატეს განხორციელებაში განხილულია მოდიფიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს იმ პროტეინული თანამიმდევრობის სიგრძის შემცირებას, რომელითაც კოდირებულია ორგალენტიანი ანტისხეულის სახსრული უბანი. უფრო ზუსტად, გამოგონებით მოცემული პროცესი შეიცავს სახსრულ უბანში, სულ მცირე, ერთი მაინც ამინომჟავას დელეციის ეტაპს.

როგორც აღნიშნული იყო, აღნიშნულ სახსრულ უბანში უპირატესია არაუმეტეს ვიდრე 2 ამინომჟავას დელეცია.

როგორც აღნიშნული იყო, აღნიშნულ სახსრულ უბანში უპირატესია არაუმეტეს ვიდრე 3 ამინომჟავას დელეცია.

როგორც აღნიშნული იყო, აღნიშნულ სახსრულ უბანში უპირატესია არაუმეტეს ვიდრე 4 ამინომჟავას დელეცია.

გამოგონებით მოცემული პროცესის გამოყენების განსაკუთრებულ შემთხვევაში, მოდიფიკაციაში შედის, სულ მცირე, დელეცია მაინც

ამინომჟავასი, რომელიც არჩეულია ამინომჟავებიდან პოზიციაში H1, H2, H3, H5, H6, H7, H8, H9, H11, H12 ან H14.

უფრო ზუსტად, გამოგონებაში ნაჩვენებია, რომ მისი განსაკუთრებული ასპექტი მდგომარეობს განსაზღვრული ნაშთების არჩევაში.

IgG1-ის უპირატეს შემთხვევაში, ამინომჟავა პოზიციაზე H1 წარმოადგენს პროლინს; ამინომჟავა პოზიციაზე H2 წარმოადგენს ლიზინს ადამიანის ვერსიაში და არგინინს თაგვის ვერსიაში; ამინომჟავა პოზიციაზე H3 წარმოადგენს სერინს ადამიანის ვერსიაში და ასპარტატს თაგვის ვერსიაში; ამინომჟავა პოზიციაზე H5 წარმოადგენს ასპარტატს ადამიანის ვერსიაში და გლიცინს თაგვის ვერსიაში; ამინომჟავა პოზიციაზე H6 წარმოადგენს ლიზინს; ამინომჟავა პოზიციაზე H8 წარმოადგენს კისტიდინს ადამიანის ვერსიაში და ლიზინს თაგვის ვერსიაში; ამინომჟავა პოზიციაზე H9 წარმოადგენს თრეონინს ადამიანის ვერსიაში და პროლინს თაგვის ვერსიაში; ამინომჟავა პოზიციაზე H11 წარმოადგენს პროლინს ადამიანის ვერსიაში და იზოლეიცინს თაგვის ვერსიაში; და ამინომჟავა პოზიციაზე H12 წარმოადგენს პროლინს ადამიანის ვერსიაში.

უპირატესი განხორციელების ნიმუშის მიხედვით, ეს დელეცია უნდა შესრულებულ იქნეს “ზედა სახსარის” უბანში.

უფრო უპირატეს განხორციელების ნიმუშში ეს დელეცია წარმოადგენს “ზედა სახსარის” ნაწილს, რომელიც IgG1-თვის შედგება, მაგალითად, ამინომჟავებიდან H1-დან H9-მდე, განსხვავებით “ცენტრალური სახსარისაგან”, რომელიც შედგება ამინომჟავებისაგან H10-დან H14-მდე.

ზემოაღწერილის თანახმად, წარმოდგენილ განაცხადში ამინომჟავების ნუმერაცია განხორციელებულია IMGT სისტემაში. ცხადია, რომ ნებისმიერი სხვა ნუმერაციის სისტემა, ნუმერაციის, მაგრამ არა სახსრულ უბანში ჩართული ნაშთების ბუნების მოდიფიკაციით, უნდა განხილულ იქნეს, როგორც ეკვივალენტური. მაგალითისათვის, გამოგონების იდენტიფიცირებული ამინომჟავების ნაწილის (IMGT სისტემის მიხედვით) რენუმერაცია Kabat-ის სისტემაში უნდა ეკვივალენტურად იქნეს განხილული.

გამოგონების სხვა ასპექტი დაფუძნებულია, სულ მცირე, ერთი მაინც ცისტეინის დელეციაზე “ზედა სახსარის” უბანში, უპირატესად, პოზიციაზე H4 მდებარე ცისტეინისა.

გამოგონების კიდევ სხვა ასპექტი დაფუძნებულია, სულ მცირე, ერთი მაინც დისულფიდური ხიდის დამატებაზე სახსრულ უბანში.

უფრო ზუსტად, გამოგონებით მოცემული პროცესი განსხვავდება იმით, რომ მოდიფიკაცია მდგომარეობს, სულ მცირე, ერთი მაინც ცისტეინის შეყვანაში “ზედა სახსარის” უბანში.

გამოგონების მიხედვით ამის ახსნა ეფუძნება სახსრული უბნის შესაძლო “გახისტებას” სიგრძის შემცირების და/ან კიდევ სხვა დისულფიდური ხიდის შეყვანის შედეგად. ასეთი “გახისტება” ანტისხეულის შესაფერისი სიკრცეული კონფორმაციის საშუალებას იძლევა გაუმჯობესებული ანტაგონისტური აქტივობის შედეგით.

აშკარაა, რომ ნებისმიერი სხვა ხერხი, რომელიც მიზნად ისახავს სახსრული უბნის გახისტებას, უნდა განხილულ იქნეს გამოგონებით მოცემული პროცესის ეპიგალენტურ მეთოდად.

ცისტეინის შეყვანა შეიძლება განხორციელებულ იქნეს ასეთი ამინომჟავას დამატების საშუალებით და ამ დამატების განხორციელება შესაძლებელია დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილი ნებისმიერი ხერხით.

სახსრულ უბანში ცისტეინის შეყვანის მეორე უპირატესი გზაა, სულ მცირე, ერთი მაინც ამინომჟავას ჩანაცვლება.

უფრო ზუსტად, სახსრულ უბანში ცისტეინის შეყვანის უპირატესი გზაა, სულ მცირე, H1-დან H9-მდე პოზიციების ამინომჟავებიდან არჩეული ამინომჟავას ჩანაცვლება. ასეთი ჩანაცვლების შესრულება შესაძლებელია დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილი ნებისმიერი მეთოდით.

უფრო ზუსტად, გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში ორეონინის ჩანაცვლება H7 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში ლიზინის ჩანაცვლება H6 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების კიდევ სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში პროლინის ჩანაცვლება H1 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების კიდევ სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში ლიზინის ჩანაცვლება H2 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების კიდევ სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში სერინის ჩანაცვლება H3 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების კიდევ სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში ასპარტატის ჩანაცვლება H5 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების კიდევ სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში ჰისტიდინის ჩანაცვლება H8 პოზიციაზე ცისტეინით.

გამოგონების განხორციელების კიდევ სხვა ნიმუშში გამოგონებით მოცემულ პროცესში შედის “ზედა სახსარის” უბანში თრეონინის ჩანაცვლება H9 პოზიციაზე ცისტეინით.

სხვა განხორციელების ნიმუშის მიხედვით, ასევე შესაძლებელია სახსრული უბნის სიგრძის შემცირება და/ან დისულფიდური ხიდის დამატება მთლიანად იმ ამინომჟავების თანამიმდევრობის შეცვლით, რომლითაც კოდირებულია სახსრული უბანი.

უპირატესი ნიმუშის სახით, გამოგონებით მოცემული პროცესის მოდიფიკაცია მდგომარეობს IgG1-ის სახსრულ უბანში ამინომჟავების H1-დან H14-მდე შეცვლა IgG2-ის სახსრული უბნის ამინომჟავებით H1-დან H14-მდე, უპირატესად მაშინ, როდესაც ანტაგონისტური აქტივობის გასაუმჯიბესებლად განსაზღვრული ანტისხეული არის IgG1 ანტისხეული.

სხვა განაცხადში გამოგონება ეხება სპეციფიკური სამიზნე მოლეკულის წინააღმდეგ მიმართული ანტაგონისტური მონოკლონური ანტისხეულის, ან მისი ორვალენტიანი ფუნქციური ფრაგმენტის ან მისი წარმოებულის სკრინინგის პროცესს, აღნიშნულ ანტისხეულს გააჩნია აღნიშნული სამიზნე მოლეკულის ერთი ან მეტი ბიოლოგიური აქტივობის ინჰიბირების უნარი, ამასთან აღნიშნულ პროცესში შედის:

(a) საწყისი ანტისხეულის არჩევა აღნიშნული სამიზნე მოლეკულის აღნიშნული ერთი ან მეტი ბიოლოგიური აქტივობის ინჰიბირების საწყისი დონით,

(b) აღნიშნული საწყისი ანტისხეულის სახსრული უბნის ამინომჟავების თანამიმდევრობის მოდიფიკაცია გამოგონებით მოცემული პროცესის საშუალებით,

